

სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობები და მისი  
გავლენა ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე საქართველოში .

კესარია გოგუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

პროგრამა:საჯარო სამართალი და პოლიტიკა.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თამთა მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი, საჯარო

სამართლის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2019

## აბსტრაქტი

პოლიტიკური რეჟიმების ცვალებადობამ გამოავლინა, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დემოკრატია (ლიბერალური დემოკრატია) ნორმატულად მმართველობის ყველაზე მისაღები ფორმაა. დემოკრატიული სახელმწიფოსთვის კი დამახასიათებელია სეკულარიზმის პრინციპი, შესაბამისად სახელმწიფოში რელიგიის თავისუფლება, რელიგიური ნეიტრალიტეტი და საერო და სასულიერო ხელისუფლების გამიჯვნა მნიშვნელოვანია.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება საქართველოს სეკულარული პოლიტიკა .კონსტიტუციაში ვკითხულობთ ,რომ ქვეყანა არის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო სადაც დაცულია ადამიანის უფლებები ,თუმცა ნორმატიულ მასალას არ პასუხობს არსებული ვითარება. იკვეთება რა კონრეტულად ერთ რელიგიურ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა ,საფრთხე ექმნება სეკულარულ სივრცეს. სწორედ ,რომ ნაშრომის შექმნის მოტივაცია და მიზანი გამომდინარეობს ,მოცემული სიტუაციის აღმოსაფხვრელად,რათა უგულვებელყოფილი არ იყოს მოსახელობის მონაპოვარი ,რომელიც თვითშეზღუდვის შედეგია და „საზოგადოებრივი ხელშეკრულებით“ არის ცნობილი.

დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციები ,რომელიც მიმართულია სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკის შესაცვლელად გამომდინარეობს საჯარო სივრცისა და სეკულარიზმის არსებობის იდეისა და მიზნის განხილვის შემდგომ.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:სეკულარიზმი, რელიგია, უფლება, კონსტიტუციური შეთანხმება , ნეიტრალიტეტი.

## Abstract

The change of political regimes revealed that democracy (liberal democracy) is the most acceptable form of governance over the last two centuries. The democratic state is characterized by the principle of secularism, therefore the freedom of religion in the state, religious neutrality and the separation of secular and ecclesiastic authorities is important.

Given labour will discuss Georgia 's secular policy .In the constitution we read that the country is a legal and democratic state where human rights are protected, but the normative material does not respond to the current situation. Because of the exposed close cooperation with one religious organisation secular space becomes endangered. Motivation and purpose of creating this labour is to eradicate the situation in order not to discourage the population's profit that is a result of self-restraint and is known by the name of "public contract".

Recommendations in the document, which aimed at changing the discriminatory policy of the state, are driven after consideration of the idea and purpose of the existence of public space and secularism.

Keywords: secularism, religion, right, constitutional agreement, neutrality.